სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ფიზიკური გეოგრაფია,
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: გეოგრაფიის დოქტორი (ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგ-ბის ეკოლოგია და გარემოს დაცვა)
Ph. D in Geography (Physical Geography, Soil Ekological and Environment protection)
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ზურაბ სეფერთელაძე
თანახელმძღვანელები:
სრული პროფესორი მელორ ალფენიძე (სსიპ - სოხუმის უნივერსიტეტი)
ასოცირებული პროფესორი ბესო კალანდაძე – თსუ

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

XXI საუკუნის დასაწყისი გეოგრაფიის მეცნიერების განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპია, რომელმაც თანამედროვე ეპოქაში საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა წინაშე კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები დააყენა. აქედან გამომდინარე სადოქტორო-საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ პრობლემებს:
კერძოდ;

- ბუნებრივი გარემოსა და მისი რესურსების კოსმოსური- დისტანციური კვლევის მიღწევა;
- ლანდშაფტებზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გამწვავებული ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება;
- რესურსათვისებისა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემა;
- ბუნებრივი გარემოს და საზოგადოების მდგრადი (დაბალანსებული) განვითარების და ბუ-ნებათსარგებლობის ოპტიმიზაცია;
- გეო-სისტემების განვითარების სივრცე-დროითი ანალიზი და სინთეზი;
- გარემოს ევოლუცია და ბუნებრივი რისკები, სტიქიური პროცესების დროსა და სივრცეში გან-მეორებადობის და პროგნოზირების მიზნით;
- გააქტიურებული სტიქიურ-კატასტროფული პროცესების სისტემური შესწავლა და ბუნებრი-ვი პროცესების ნეგატიური შედეგების დეზაქტივიზაციის მიღწევა, პროცესების რეგულირება -მართვის მექანიზმის გამოყენებით;
- ლანდშაფტური მონიტორინგის განხორციელება და სხვ. აღნიშნული პრობლემები კვლევისას გამოყენებული უნდა იქნეს კვლევის შემდეგი მეთოდები;
- საველე, კარტოგრაფიული, ლიტერატურული, სტატისტიკური, ინფორმაციული ანალიზის და სხვ.
- დისტანციური ზონდირების;
- აერო და კოსმოსური სურათების დეშიფრირების;
- გეოინფორმაციული საშუალებების და GIS სისტემების;
- გეოკომპლექსების სივრცე-დროითი ანალიზი და სინთეზის;

მიზანი. საქართველოს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია, მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, მეურნეობის გონივრული წარმართვა, ცოდნაზე დამყარებული სახელმწიფოებრივი მშენებლობა და მაღალი ინტელექტუალური დონე ვერ შეიქმნება სათანადოდ მომზადაბული სპეციალისტების გარეშე.

გეოგრაფიაში დოქტორანტურის უმთავრესი მიზანია ღრმა მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევების მქონე მაღალი პროფესიული დონის აკადემიური ლიდერების მომზადება, რომლებსაც უნდა შესწევდეთ ძალა გაანალიზონ დაგროვილი იდეები და მიაღწიონ მეცნიერული ინფორმაციის (პუბლიკაციები) გავრცელებას, მაღალი დონის სწავლების მიღწევასა და მიღებული შედეგების პრაქტიკაში დანერგვას.

პროგრამის შედეგი. გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მიერ მაღალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განხორციელება მიიღწევა სამი ძირითადი ასპექტის (გენერაცია, კონსერვაცია და ტრანსფორმაცია) შედეგად, კერძოდ:

- ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაციის შედეგად დოქტორანტი შეიძენს გეოგრაფიული კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს. გეოგრაფიის ლიდე-სპეციალისტ საშუალება

მიეცემა მოიპოვოს და დაიცვას არსებული ცოდნის მარაგი, კრიტიკულად მიუდგეს მას, ჩამოაყალიბოს სწორი კითხვები და შეძლოს პასუხის გაცემა;

- ცოდნისა და უნარ-ჩვევების კონსერვაციის განხორციელების შედეგად მოხდება დოქტორის მიერ გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების ისტორიისა და მისი ძირითადი იდეების გათავისება; პასუხისმგებლობა გამოუმუშავდება დარგის უწყვეტობისა და სიცოცხლისუნარიანი იდეების შენარჩუნების შესახებ; შეძლებს ინტერდისციპლინარული კვლევების ჩატარებასა და თანამშრომლობას საერთო ინტელექტუალურ სივრცეში მონათესავე (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოლოგია, მათემატიკა, ეკონომიკა და ა.შ.) და სხვა (საკანონმდებლო საინჟინრო, ტექნიკური) სამეცნიერო სფეროებში.

გეოგრაფიის დოქტორის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებით შესაძლებელი გახდება საინფორმაციო მასალის საველე პირობებში მოპოვება, კამერალური და ლაბორატორიული დამუშავება, ეფექტური პრეზენტაცია, ღონისძებათა შემუშავება, პრაქტიკაში დანერგვა და რეგულარული კონტროლის სისტემის ჩატარება, აგრეთვე სამეცნიერო კვლევის შედეგად მიღებული ცოდნის გადაცემა (ლექციები, სემინარები, პოლიტიკური დისპუტების ჩატარება და სხვ.), მომავალი თაობებისათვის, კომუნიკაციის შესაძლებლობა პროფესიულ და საზოგადოებრივ დონეებზე, ინფორმაციის ეფექტური გავრცელების შესაძლებლობა და ა. შ.

დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები:

· მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი გეოგრაფიაში, გეოლოგიაში, ბიოლოგიაში, გეოფიზიკაში, აგრარულ მეცნიერებებში, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის დარგში.

· თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკუსანტებს, რომელთაც ექნებათ სამეცნიერო პუბლიკაციები, სამეცნიერო (მათ შორის, მაგისტრანტთა) კონფერენციების მონაწილეებს, (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დიპლომი სხვა საბუთებთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი) და დარგში სამუშაო გამოცდილების მქონეებს;

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

- დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა (გეოგრაფია, ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის, გეოლოგია) ს/კ ინსტიტუტები;
- გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
- პედაგოგიური სასწავლებლები (კოლეჯი, ლიცეუმი, უმაღლესი სკოლა);
- ტურისტული სააგენტო;
- ტერიტორიის მენეჯმენტის საქმე;
- კარტოგრაფიის დეპარტამენტი;
- დაცული ტერიტორიების სისტემა (WWF);
- მუნიციპალური სამსახური;
- კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტი, (KfW თანადაფინანსებით);
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური;
- სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი;
- იუსტიციის სამინისტროსთან არსებული მიწის რეგისტრაციის სამსახური.
- ნავთობსადენები და ნავთობტერმინალები
- ადგილობრივი და საერთაშორისო პროგრამები და პროექტები
- არასამთავრობო სექტორი

სასწავლო კომპონენტი:

	საგნის დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	სემესტრი
1	სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5	II
2	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	სავალდებულო	10	I

3	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	სავალდებულო	10	II
4	პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	25	II
5	არჩევითი კურსი		10	

ნაშრომთა თემატიკა

- ენგურ-ჰესის გეომორფოლოგიური შედეგები შავი ზღვის სანაპირო ზოლში;
- მთიანი აჭარა-გურიის სტიქიურ-დამანგრეველი პროცესები და მათი სტაბილიზაცია;
- ღვარცოფებსა და კლდეზვავების დიაგნოსტიკა და პროგნოზი (კახეთისა და აჭარის მოდელები);
- აფხაზეთის კონფლიქტური სივრცე: მოსახლეობა და მეურნეობა; (გეოგრაფიული ხედვა).
- კოლხეთის მთის ტყის ლანდშაფტების მდგრადობა და ბუნებათსარგებლობის პრობლემა
- კახეთის მთის ტყის ლანდშაფტების რესურსული პოტენციალი და გარემოს მდგრადი განვითარება
- ქვემო ქართლის ბარის ლანდშაფტების რესურსული პოტენციალი და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემა
- აჭარის შავი ზღვის სანაპიროს რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემოს მდგრადი განვითარების პრობლემა
- შავი ზღვის კოლხეთის სანაპიროს ლანდშაფტური დაგეგმარება და რაციონალური ბუნებათსარგებლობა
- დასავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კვლევა დაცული ტერიტორიის ქსელის გაფართოების მიზნით
- სამთო გამამდიდრებელი საწარმოების გავლენა მიმდებარე ნიადაგებზე, წყლებზე და მცენარეულ საფარზე
- გაუდაბნოების პრობლემა აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი კლიმატური ზონის ნიადაგებში
- ნიადაგების ეროზია და ეროზიული პროცესების გავლენა მის ნაყოფიერებაზე, ეროზირებუ-ლი ნიადაგების რეკულტივაცია
- გარემოს დაბინძურების ანტროპოგენური და ტექნოგენური ასპექტები
- ნიადაგების მძიმე მეტალებით დაბინძურება და ეკოლოგიური ანალიზი
- მსოფლიო ნიადაგური რესურსები, ნიადაგის ნაყოფიერების პრობლემები მზარდი სასურსათო კრიზისის ფონზე

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კომპონენტი ძირითადად განხორციელდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაზო (ფიზიკური გეოგრაფიის, ნიადაგური რესურსების და გარემოს დაცვის) მიმართულებაზე, ასევე მასთან არსებულ მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარსა და ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიაში.

სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის პროცესში დოქტორანტს საშუალება ექნება აქტიურად გამოიყენოს უახლესი კომპიუტერული GIS პროგრამები, საბაზო მიმართულებაზე არსებული კომპიუტერებისა და ინტერნეტის მეშვეობით, ისარგებლებს არსებული ლიტერატურული და საფონდო მასალებით. დაიგეგმება სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს რეგიონებში. (დაფინანსების წყარო – თსუ და საგრანტო პროგრამები).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ – სოხუმის უნივერსიტეტის (მიმართულება: ფიზიკური გეოგრაფია) ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის (10.05.2007) თანახმად, დოქტოტანტები პროფესიულ მომზადებას გაივლიან სოხუმის უნივერსიტეტის ბაზაზეც.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია ორი დოქტორანტის მიღება.